

გზამკვლევი
პროფესიული სტუდენტებისთვის



პროფესიული სტუდენტის უფლება-ვალდებულებები

პროფესიული სტუდენტი

პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება ერთიანი პროფესიული ტესტირებით ან ტესტირების გარეშე.

პროფესიული სტუდენტის უფლება აქვს:

- მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საბიბლიოთეკო საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- მიიღოს აუცილებელი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებთან, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- გამოთქვას საკუთარი აზრი;
- მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება;
- ღირექტორთან წერილობით გაასაჩივროს ადმინისტრაციული, პროგრამის განმახორციელებელი პირების/ პროფესიულ მასწავლებელთა პერსონალის არამართლზომიერი მოქმედება;
- უფლებამოსილია დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისგან.
- კანონმდებლობის შესაბამისად ისარგებლოს მობილობის უფლებით.

პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

- შეასრულოს პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ საგანმანათლებლო პროგრამის ან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაკისრებული მოთხოვნები;
- შეასრულოს შინაგანაწესითა და დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით მისთვის გათვალისწინებული მოთხოვნები;
- დაიცვას და შეასრულოს მასთან, როგორც პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;
- გადაიხადოს სწავლის საფასური დადგენილ ვადებში და ხელშეკრულებით დადგენილ პირობებით;
- დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;
- გაუფრთხილდეს საგანმანათლებლო დაწესებულების ქონებასა და პრესტიჟს;

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ნიშნავს კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით გათავისუფლებას, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია არაუმეტეს 3 წლის ვადით.

პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენა

- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემდეგ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
- პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს კოლეჯის დირექტორს, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში ჩათვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლის გადახდილი საფასური;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა მოხდება სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ნიშნავს კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლებას.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება;
 - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა და სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმა ან არ გამოცხადება;
 - ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა;
 - სასწავლო პროცესის დაწყებიდან ოცდაათი კალენდარული დღის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;
 - ფინანსური დავალიანება - 6 თვის განმავლობაში სწავლის ღირებულების გადაუხდელობა პროფესიული სტუდენტის მიერ;
 - არასაპატიო მიზეზით სასწავლო პროცესზე მიმდინარე წლის მანძილზე 30 დღით არ გამოცხადება;
 - მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, სტატუსის მოპოვება ხდება საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხელახალი ჩარიცხვით

მობილობა

- მობილობის უფლება აქვს ნებისმიერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროფესიული სტუდენტის მობილობა არის პროფესიული სტუდენტის თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში.
- მობილობა განხორციელდება ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოემოხა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს;
- გარე მობილობა - სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მსურველი პროფესიული სტუდენტი განცხადებით მიმართავს დირექტორს შესაბამისი დოკუმენტაციის მოთხოვნით.
- შიდა მობილობის მოთხოვნა დასაშვებია მოცემულ პროგრამებზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში პირადი განცხადების საფუძველზე.
- შიდა და გარე მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარებას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის პროფესიული სტუდენტისათვის სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებსა და სწავლის შედეგების მიღწევის გზებს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც:

- ✓ სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი სწავლობს მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს.
- ✓ მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმდები დაწესებულების სწავლის შედეგებთან.
- ✓ პროფესიულ სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, აგრეთვე პროფესიულმა სტუდენტმა, რომელმაც საპატიო მიზეზით გააცდინა (ავადმყოფობა, მშობიარობა და ა.შ.) სასწავლო პროცესი და მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

პროფესიული სტუდენტის მიღწევათა შეფასება

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 –60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მოდულურ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

მოდულურ პროგრამებში გამოიყენება ორი სახის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

- განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას. განმავითარებელი შეფასების დროს მიღებული შედეგი მხოლოდ განმავითარებელი ხასიათისაა და არ აისახება საბოლოო შეფასების შედეგზე.
- განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. შეფასება უნდა იყოს კომპლექსური, შესაფასებელ პირს უნდა შეეძლოს მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების არა ცალკეულად, არამედ ურთიერთკავშირში გამოყენება.
- განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

აპელაცია

პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია აპელაციის მიზნით, შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 1 დღისა, გაასაჩივროს მიღებული შეფასება სააპელაციო განაცხადით და მოითხოვოს განმსაზღვრელი შეფასების შედეგის გადასინჯვა.

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საკვალიფიკაციო კომისია იხილავს იმ პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხს, რომელთაც სრულად აითვისეს ან აღიარებულ ექნათ შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.
- პროფესიული სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობად განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების უფლების მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.
- კურსდამთავრებულები, კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ მიიღებენ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ პროფესიულ დიპლომს.